

ოქმი #7

თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2022 წლის 22 ივნისის სხდომისა

სხდომას ესწრებოდნენ:

სამეცნიერო საბჭოს წევრები: თ. ქაღიშივილი (საბჭოს თავ-რე), გ. ბერიკელაშვილი, თ. ბუჩუკური, რ. დუდუჩავა, ა. ელაშვილი, მ. ელიაშვილი, ხ. ინასარიძე, ა. კვინიხიძე, ი. კილურაძე, გ. ლავრელაშვილი, მ. მანია, ა. მესხი, ნ. ფარცვანია, ნ. შავლაყაძე, ო. ჭკადუა, გ. ხარიბეგაშვილი, მ. ჯიბლაძე, ო. ჯოხაძე (სამეცნიერო საბჭო შედგება 28 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 18 წევრი).

დღის წესრიგი:

1. თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელის არჩევნები.

მ ო ს მ ი ნ ე ს : ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის თორნიკე ქაღიშივილის გამოსვლა, რომელმაც საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელის ასარჩევად 2022 წლის 1 ივნისს გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრირებულია თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ალექსანდრე მესხის კანდიდატურა. სამეცნიერო საბჭომ 2022 წლის 20 ივნისის სხდომაზე (ოქმი # 6) განიხილა ა. მესხის განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ ა. მესხის კანდიდატურა აკმაყოფილებს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელის ასარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადებაში“ განსაზღვრულ მოთხოვნებს. იმავე სხდომაზე განისაზღვრა კენჭისყრის დღე - 2022 წლის 22 ივნისი, 15:00 სთ.

მ ო ს მ ი ნ ე ს : ა. მესხის გამოსვლა და მისი ხედვა მათემატიკური ანალიზის განყოფილების განვითარების შესახებ.

ს ა კ ი თ ხ ი დ ა დ გ ა კ ე ნ ჭ ი ს ყ რ ა ზ ე . ჩატარდა ღია კენჭისყრა. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საბჭოს 17 წევრმა (ა. მესხმა არ მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა).

კენჭისყრის შედეგები:

ალექსანდრე მესხი: მომხრე - 17, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს:

1) ღია კენჭისყრის შედეგების საფუძველზე **ერთხმად** თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე 5 წლის ვადით არჩეულ იქნა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი **ალექსანდრე მესხი**;

2) თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელის არჩევნების შედეგები დასამტკიცებლად წარედგინოს თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორს.

საბჭოს თავმჯდომარე  თ. ქაღიშივილი

სწავლული მდიანი  ო. ჯოხაძე

